საქართველოს სოფლის მეურნეობის

მინისტრის ბრძანება №2-49

2008 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 105^2 და 179^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი აღრიცხვის ჟურნალის, წარმოების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის ბრძანება №2-558 - ვებგვერდი, 19.06.2019წ.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 105^2, 179^5, 229^4 მუხლების, 239-ე მუხლის 39-ე ნაწილის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №2-177 - ვებგვერდი, 14.09.2012წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის ბრძანება №2-558 - ვებგვერდი, 19.06.2019წ.

1. დამტკიცდეს თანდართული სახით:

ა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა (დანართი №1);

ბ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №2);

გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის წარმოების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №3);

დ) გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის/ოქმების ჩამოწერის აქტი (დანართი №4).

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პ. ცისკარიშვილი

დანართი №1

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №2-177 - ვებგვერდი, 14.09.2012წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის ბრძანება №2-558 - ვებგვერდი, 19.06.2019წ.

ღვინის ეროვნული სააგენტო

_____

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

№ 20-- წ.

_____ _____ _____

(თარიღი) (ოქმის შედგენის ადგილი)

1. მე, _____

(უფლებამოსილი წარმომადგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი)

_____

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____ და 240-ე მუხლების დაცვით შევადგინე წინამდებარე ოქმი.

_____

(სამართალდარღვევის ჩადენის თარიღი) (სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი)

_____

(მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ)

_____

(სამართალდამრღვევის მისამართი)

_____

(სამართალდარღვევის შინაარსი)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____ მუხლით.

2. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის __ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა:

_____

(მუხლის სათაური, ტექსტი)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

3. აღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევი პირის

_____

(თანამდებობა, სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის მოწმობის №)

ახსნა-განმარტება:

_____

_____

_____

4. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები.

5. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შედგა ეს ოქმი, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

ოქმი შევადგინე : _____

(უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა)

ოქმს გავეცანი : _____

(სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერა)

მოწმეები (არსებობის შემთხვევაში):

_____ _____ _____

(მოწმის სახელი, გვარი) (მისამართი, პირადობის მოწმობის №) (ხელმოწერა)

_____ _____ _____

6. ოქმის ასლი მივიღე:

_____

(სამართალდამრღვევი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

7. უფლებამოსილი წარმომადგენლის აღნიშვნა, თუ სამართალდამრღვევმა უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერასა და ასლის მიღებაზე:

_____

8. მე, _____

(სამართალდამრღვევი პირის სახელი, გვარი)

გავეცანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს (ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ არის შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე),

რასაც ვადასტურებ ხელმოწერით _____

შენიშვნა: ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა არ წარმოადგენს საქმის შეწყვეტის საფუძველს. სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისთვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, აგრეთვე ჩამოაყალიბოს ხელმოწერაზე უარის თქმის

მოტივები.

დანართი №2

№	გაცემის თარიღი	ოქ-მის №	ოქმის გამცემი				ოქმის მიმღები				შედგენილი ოქმებ		
			გვარი	სახელი	თანამ დებობა	ხელმო წერა	გვარი	სახელი	თანამ დებობა	ხელმო წერა	გვარი	სახელი	თანამ დებობა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის წარმოების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 105^2 მუხლის, 179^5 მუხლის პირველი ნაწილის, 229^4 მუხლის, 239-ე მუხლის 39-ე ნაწილის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესის“ (დანართი №2) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების (შემდგომში – ოქმები) გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და ამ წესის საფუძველზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №2-177 - ვებგვერდი, 14.09.2012წ.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის ბრძანება №2-558 - ვებგვერდი, 19.06.2019წ.

მუხლი 2. ოქმების დამზადება, გაცემა და დაბრუნება

1. ოქმების დამზადებას სააგენტო ახორციელებს დამოუკიდებლად, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულ პოლიგრაფიულ საწარმოში.

2. პოლიგრაფიული საწარმოდან ოქმების გამოტანის უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა.

3. „სააგენტოს“ მიერ ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში (დანართი №2).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №2-177 - ვებგვერდი, 14.09.2012წ.

მუხლი 3. ოქმების შენახვა

1. ოქმები ინახება მათ აღრიცხვა-ანგარიშგებაზე უფლებამოსილ მოხელეებთან.

2. ოქმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. სათავსო, სადაც ინახება ოქმები უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისგან.

მუხლი 4. ოქმების შევსება და წარმოება

1. ოქმების შევსება ხდება სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში და წესით.

2. ოქმები ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. მკაცრი აღრიცხვის ფორმების ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მათში არასწორი მონაცემის შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი, ხოლო ძველი გადაიხაზება ჯვარედინად და დგება ჩამოწერის აქტი.

3. ოქმები ივსება სამ (სასამართლოსათვის გადაცემის შემთხვევაში – ოთხ) ეგზემპლარად.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენელი და სამართალდამრღვევი, რომლის ორი ეგზემპლარი რჩება სააგენტოში, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სამართალდამრღვევს (ოქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ერთი ეგზემპლარი წარედგინება სასამართლოს).

5. ოქმების რეგისტრაცია ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში (დანართი № 2).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №2-177 - ვებგვერდი, 14.09.2012წ.

მუხლი 5. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ჩამოწერა

1. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ჩამოწერა ხდება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ოქმის დაზიანების გამო;

გ) პოლიგრაფიული დეფექტის გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ჩამოწერა ხდება ჩამოწერის აქტის შედგენის შემდეგ (დანართი №4), რომელშიც აღინიშნება გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის/ოქმების ექსკლუზიური ნუმერაცია და ჩამოწერის მიზეზი.

3. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ექსკლუზიური ნუმერაცია შეიტანება აღრიცხვის ჟურნალში.

4. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის უტილიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ოქმების შენახვაზე, აღრიცხვაზე და გაცემაზე კონტროლი

1. ოქმების აღრიცხვაზე, შენახვაზე და გაცემაზე კონტროლს ახორციელებს სააგენტო.

2. სააგენტო ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ახდენს ოქმების ინვენტარიზაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №2-177 - ვებგვერდი, 14.09.2012წ.

დანართი №4

აქტი №

„____“ „_____“ 200 წელი

გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის/ოქმების ჩამოწერის შესახებ

№	ოქმის ექსკლუზიური ნომერი	ოქმის ჩამოწერის მიზეზი
1		
2		
3		
4		
5		

ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი ოქმების ჩამოწერის სისწორეს.

ოქმების გამოყენებასა და
აღრიცხვა-ანგარიშგებაზე
პასუხისმგებელი პირი: /----------/